საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/99

ქ. ბათუმი 30 სექტემბერი 2021 წ.

ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის,, 29^3 -ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-8, 24^4-ე მუხლების, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის №08 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დებულების, ,,ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავებისათვის დამატებითი მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N05 გადაწყვეტილების, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2021 წლის 29 სექტემბრის სხდომის დადგენილების და თავმჯდომარის, ჯემალ ვარშალომიძის სამსახურებრივი ბარათის (MES 5 21 0000996292, 29.09.2021) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურის შესარჩევად.

2. ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს პირმა, რომლის ასაკი 65 წელს არ აღემატება და აკმაყოფილებს მთავარი მეცნიერი თანამშრომლისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებს (თანახმად ,,ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავებისათვის დამატებითი მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N05 გადაწყვეტილებისა).

3. დირექტორის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მიზნით კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ფერადი ფოტო, ზომით ¾;

გ) უმაღლესი განათლების (დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის) მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიმართულებით (განსაზღვრული ამ ინსტიტუტის დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით) არანაკლებ 6 წლის შრომითი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები (ცნობა სამუშაო ადგილიდან/შრომის წიგნაკის დამოწმებული ასლი/საგრანტო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობის დამადასტურებელი ან/და სხვა მტკიცებულება);

ე) ანკეტა (შევსებული წინამდებარე დადგენილების N1 დანართის შესაბამისად, რომელშიც მითითებული იქნება კანდიდატის განსაკუთრებულ სამეცნიერო მიღწევაზე და წარმოდგენილი უნდა იქნეს აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება);

ვ) სამოქმედო გეგმა;

ზ) სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობა (ცნობის მისაღებად ინფორმაცია განთავსებულია ვებგვერდზე: https://www.sa.gov.ge/p/sqesobrividanashauli).

4. **კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს ბსუ–ს საარჩევნო კომისიაში (ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35, ოთახი №13), 2021 წლის 18 ოქტომბრიდან 22 ოქტომბრის ჩათვლით, უქმე დღეების გარდა, 11:00 სთ-დან 16:00 სთ-მდე.**

5. ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ დირექტორის **შესარჩევი ღია კონკურსი (ფარული კენჭისყრა) ჩატარდეს 2021 წლის 26 ოქტომბერს** ბსუ-ს აკადემიური საბჭოს სამუშაო ოთახში (კენჭისყრა დაიწყოს 15:00 საათზე და დასრულდეს 16:00 საათზე).

6. ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ შერჩეული კანდიდატურის დამტკიცების საკითხი ბსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ განხილული იქნეს 2021 წლის 27 ოქტომბრის სხდომაზე (აკადემიური საბჭოს სამდივნო უზრუნველყოფს სხდომის ჩატარების ზუსტი დროის შესახებ ინფორმაციის ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებას).

7. ბსუ-ს საარჩევნო კომისიას ეთხოვოს არჩევნების ორგანიზება-ჩატარებისათვის ბსუ-ს წესდებით, ბსუ-ს საარჩევნო დებულებითა და შესაბამისი დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულებით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.

8. დადგენილება განთავსდეს ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე, რომლის უზრუნველყოფა დაევალოს ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

9. დადგენილება განთავსდეს ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურთან (კანცელარია) და ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის საინფორმაციო დაფებზე.

10. დადგენილება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, ბსუ-ს საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისიას და ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

11. დადგენილება ძალაში შევიდეს ბსუ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

12. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის
30 სექტემბრის #06-01/99 დადგენილების
დანართი N1

კანდიდატის ანკეტა

სახელი	
გვარი	
მამის სახელი	
დაბადების თარიღი	
მოქალაქეობა	
რეგისტრაციის მისამართი	
ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართი	
ტელეფონი	
ელ. ფოსტა	
ბოლო (მიმდინარე) დასაქმების ადგილი და პოზიცია	

I. კატეგორია: განათლება, აკადემიური ხარისხი და სამსახურებრივი გამოცდილება

1.1 განათლება

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ფაკულტეტი	ჩარიცხვისა და დამთავრების წლები	კვალიფიკაცია

1.2 აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი *(PhD/ საკანდიდატო დისერტაციის დაცვა; ჰაბილიტაცია/სადოქტორო დისერტაციის დაცვა)*

დისერტაციის დაცვის თარიღი	
დისერტაციის თემა	
მინიჭებული კვალიფიკაცია	
კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი	

1.3 სამსახურებრივი გამოცდილება

თარიღი	დაწესებულების დასახელება და დაკავებული თანამდებობა

1.4 შეთავსებით მუშაობა

თარიღი	დაწესებულების დასახელება და დაკავებული თანამდებობა

1.5. კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, ტრენინგები

თარიღი	კურსების/ტრენინგების დასახელება	დიპლომის/სერტიფიკატის ნომერი

II. კატეგორია: სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობა:

2.1. ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავებისათვის დამატებითი მოთხოვნების მე-3 მუხლით მოთხოვნილი არაუმეტეს 5 პუბლიკაცია კონკურსანტის შეხედულებისამებრ *(ცხრილი შეავსეთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვით, დაიწყეთ უახლესი ინფორმაციით)*

№	ავტორები (ყველა თანაავტორის მითითებით), კონკურსანტის გვარი გამოყოფილი უნდა იქნეს მუქი შრიფტით	ნაშრომის სათაური	ჟურნალის დასახელება, ტიპი/ტომი, გვერდები.	გამოქვეყნების წელი

2.2. სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები (არაუმეტეს 5) კონკურსანტის შეხედულებისამებრ*(ცხრილი შეავსეთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვით, დაიწყეთ უახლესი ინფორმაციით)*

№	ავტორები (ყველა თანაავტორის მითითებით); კონკურსანტის გვარი გამოყოფილი უნდა იქნეს მუქი შრიფტით	პუბლიკაციის სახეობა (მონოგრაფია, სტატია რეცენზირებად, საერთაშორისო, უცხოურ, ადგილობრივ ჟურნალში, საკონფერენციო მასალები (Proceedings) და სხვ.)	პუბლიკაციის სათაური, ავტორები, ჟურნალის/ გამომცემლობის დასახელება, ტიპი/ტომი, გვერდები, პუბლიკაციის ელექტრონული მისამართი (არსებობის შემთხვევაში).	გამოქვეყნების წელი

2.3. პატენტები (გამოგონებები)

№	**გაცემის წელი**	**პატენტის დასახელება**	**პატენტის გამცემი ორგანიზაცია**	**პატენტის სარეგისტრაციო ნომერი**

2.4. კონკურსანტის მოხსენებები საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებზე ბოლო 3 წლის განმავლობაში

1	თარიღი	
	მოხსენების სათაური	
	კონფერენციის დასახელება	
	ჩატარების ადგილი	
	ელექტრონული მისამართი	
2	თარიღი	
	მოხსენების სათაური	
	კონფერენციის დასახელება	
	ჩატარების ადგილი	
	ელექტრონული მისამართი	

2.5. საგრანტო/სახელშეკრულებო პროექტებში მონაწილეობა ბოლო 3 წლის განმავლობაში

№	განხორციელების წლები	დონორი ორგანიზაცია, პროექტის/ხელშეკრულების №	პროექტის დასახელება	როლი პროექტში

2.6. **თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან** *(უცხოეთის უნივერსიტეტებთან/სამეცნიერო ცენტრთან ერთობლივ სასწავლო ან სამეცნიერო პროგრამებში/პროექტებში მონაწილეობა, სტიპენდია/სტაჟირება და სხვ.)*

თანამშრომლობის ფორმა	**უნივერსიტეტის/სამეცნიერო ცენტრის დასახელება**	**დაწყებისა და დასრულების თარიღი**

2.7. საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი გამოქვეყნებული ნაშრომი *(ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავებისათვის დამატებითი მოთხოვნების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად)*

პუბლიკაციის სახეობა	პუბლიკაციის სათაური, ავტორები, ჟურნალის/გამომცემლობის დასახელება, ტიპი/ტომი, გვერდები, პუბლიკაციის ელექტრონული მისამართი	გამოქვეყნების წელი

III. კატეგორია:

3.1. კანდიდატის თანხმობა პერსონალური ინფორმაციის დამუშავების შესახებ:
გავეცანი ბსუ-ს წესდებას, შინაგანაწესს, ეთიკის კოდექსს და თანხმობას ვაცხადებ ბსუ-ს მიერ დამუშავდეს ჩემი პერსონალური ინფორმაცია საქართველოს შრომის კოდექსის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და ბსუ-ს წესდების მოთხოვნათა შესრულების უზრუნველსაყოფად ან/და ბსუ-ს საქმიანობის ფარგლებში სხვა კანონიერი საჭიროებიდან გამომდინარე.

3.2. ინფორმაცია კანდიდატის ნასამართლეობის შესახებ (მათ შორის ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის/ნასამართლობის მოხსნისა ან გაქარწყლების შესახებ ინფორმაციის მითითებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში):

3.3. ინფორმაცია იმ გარემოების (ჯანმრთელობის მდგომარეობა, სამუშაო განრიგი, სამუშაო პირობები, სხვა) **შესახებ, რამაც შესაძლოა ხელი შეგიშალოთ დირექტორის ფუნქცია-მოვალეობების შესრულებაში** (ასეთი გარემოების არსებობის შემთხვევაში, მიუთითეთ მიზეზი):

ქვემორე ხელმოწერით ვადასტურებ, რომ წინამდებარე ანკეტაში მითითებული ინფორმაცია, ასევე წარმოდგენილი დოკუმენტაცია, არის ნამდვილი.

_____

კანდიდატის ხელმოწერა

ანკეტის წარმოდგენის თარიღი (დღე, თვე, წელი) ----------